გიორგი გიორგაშვილი

# მუდრეცის მაგიური ქალა

თბილისი 2017

რედაქტორი: ანა გიორგაშვილი

გამოცემის რედაქტორი: მარინე მარკოზაშვილი

ტექრედაქტორი: ალექსანდრე კუზანაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

კახა გიორგაშვილი

კორექტორი: შოთა ცუკოშვილი
როსტომ სესიაშვილი
გელა კანდელაკი

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა
„თეკა&კომპანია"-ში

© გიორგი გიორგაშვილი. თბილისი 2017.
ISBN 978-9941-0-9684-6

# წინათქმა

მუდრების, საიდუმლო მეცნიერების და ხელოვნების შესწავლა, გამოყენება სირღმისეულად 5 წლის წინ დავიწყე და ჩემი მისდამი დაინტერესება სხეულის ენის შესწავლის, მსოფლიო რელიგიების ინსტიტუტსა და საიდუმლო სკოლებში სწავლის დროს უფრო გაღრმავდა. ტყუილად არ არსებობს გამოთქმა, „ძალაუფლება შენს ხელშია“. საქმე იმაშია, რომ არსებულ დაწერილ თუ დაუწერელ ინფორმაციას უპირობოდ ვიღებთ და კითხვის ნიშნებს არ ვსვავთ. მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით ძალიან ბევრ რამეს აღმოვაჩენთ და მივხვდებით.

საუკუნეების განმავლობაში ასეთი დაფარული ცოდნა საიდუმლოდ გადაეცემოდათ რჩეულებს, სულიერ ლიდერებს, სიყვარულით აღსავსე და სუფთა გულის მქონე ადამიანებს.

სწორედ ამ მუდრების ხელოვნების გამოყენება დამეხმარა მესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში, მემოგზაურა, დამეწერა წიგნები და საკუთარი თავი უკეთ შემეცნო.

ჩემს მესამე წიგნში „ფენ-შუი და ფული“ ერთი თავი სიმდიდრის მუდრას ეძღვნება და მის საიდუმლოს და მნიშვნელობას აღწერს.

ნათქვამია: „თუ გინდა, რომ ისწავლო, სხვებსაც უნდა ასწავლო და შენი ცოდნა გაუზიარო“. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა არანაირი ლიტერატურა, ამ საიდუმლო ცოდნის ანუ მუდრების – ხელის ჟესტების შესახებ, გადავწყვიტე დამეწერა ეს წიგნი და ყველა დაინტერესებული და ცოდნას მოწყურებული ადამიანისთვის მიმეძღვნა. ეს წიგნი ერთგვარი გაგრძელებაა ჩემი პირველი წიგნის „სხეულის ენა და აზრების წაკითხვის ხელოვნება“, რომელიც გახდა

2016 წლის ყველაზე გაყიდვადი („ბესთსელერი“) და მეორე წიგნის, „რას ამბობს სხეული და სახე“. აღნიშნულ წიგნებში, საუბარია უძველესი მეცნიერების, სხეულის ენის, ანუ არავერბალური კომუნიკაციის შესახებ და დეტალურად არის აღწერილი თუ რას ნიშნავს ადამიანის თითოეული ჟესტი.

ამ წიგნის წაკითხვის დროს, მკითხველი მიიღებს დიდ ცოდნას, სამყაროს და ადამიანის სხეულის დაფარული შესაძლებლობების შესახებ.

მთელი სამყარო ჩვენს შიგნით არის, ჩვენ ვართ სამყარო და ამ სამყაროს ნაწილია მუდრები, რომელთაც უდიდესი ძალა და შესაძლებლობები გააჩნია. ისინი თავისუფლად აზროვნებაში, წარმატების მიღწევაშიი, სიყვარულის პოვნაში, ბედნიერების მოპოვებაში, სიმდიდრის შეძენაში, განკურნებაში და ლიდერად ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ.

გისურვებთ წარმატებებს!

# პირველი ნაწილი

## თავი 1.

## მუდრების წარმოშობა და ისტორია

საიდუმლო და მაგიური ცოდნა მუდრების შესახებ უძველესი დროიდან მოდის. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ მათ იყენებდნენ სულიერი მასწავლებლები, იოგები, მხატვრები, მეცნიერ-გამომგონებლები, მუსიკოსები. სხვადასხვა ქვეყნის და კულტურის ხალხები (ძველი ეგვიპტელები, რომაელები, ბერძნები, სპარსები, ავსტრალიის აბორიგენი ტომები, ინდოელები, ინდიელები, ჩინელები, მაიას ტომები, თურქები, აფრიკელები).

მუდრებს „ღმერთების ენასაც" უწოდებდნენ. ისინი გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება სხვადასხვა რელიგიებში (ქრისტიანობა, ბუდიზმი, ინდუიზმი). მათ წარმატებულად ასრულებენ ტანტრას რიტუალებში, ცეკვებში (ქართული, ინდური, ჩინური, იაპონური, არაბული). მუდრებით, ანუ ხელის ჟესტებით ამყარებდნენ კომუნიკაციას სხვადასხვა საიდუმლო სკოლების და ორგანიზაციის წევრები.

მუდრებს ასევე იყენებენ მსოფლიო რელიგიების წინამძღოლები, მიმდევრები (თუ დაუკვირდებით ხატებს, ნახავთ რომ, მასში წმინდანები განსხვავებული მუდრებით არიან გამოსახულები) სხვადასსხვა პროფესიის წარმომადგენლები (პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, პროფესორები, ჟურნალისტები, მსახიობები).

მუდრა ინდური, სანსკრიტული წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მუდ" – „სიამოვნება" და „დრუ" – „მოხმობა", ანუ „სიხარულის მომნიჭებელს" და მეორენაირად მას „ბეჭედს" ან „ხელის ჟესტს" და „თითების იოგა"-საც უწოდებენ.

# ავტორისგან:

„სიმართლე ერთია – ღმერთი ერთია!
ის ყველასი და ყველა მისია!"

გიორგი გიორგაშვილი

# ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:


- სვამი სარადანანდა – მუდრები თანამედროვე ცხოვრებისათვის. 2015
- ჯოსეფ და ლილიან ლი ფეიჯი – მუდრები მკურნალობისა და ტრანსფორმაციისათვის. 2013
- გერთრუდ ჰირსჩი – მუდრები, იოგა შენს ხელებში. 2000
- ქეინ ქაროლი და რევიტალ ქაროლი – ინდოეთის მუდრები. 2013.

# სარჩევი


წინათქმა ...........................................................3

**თავი 1.**

მუდრების წარმოშობა და ისტორია.........................................5

**თავი 2.**

მუდრა როგორც საიდუმლო სწავლება.....................................6

**თავი 3.**

მუდრების სწორად შესრულება და გამოყენება........................9

მეორე ნაწილი ........................................................10

**თავი 4.**

სიმდიდრის მუდრა ...................................................10

**თავი 5.**

ცნობიერებისა და ცოდნის მუდრა.......................................11

**თავი 6.**

წარმატების მომტანი მუდრა .............................................13

**თავი 7.**

ლიდერის მუდრა .......................................................14

**თავი 8.**

საიდუმლოების მუდრა ...................................................15

**თავი 9.**

უმაღლესი გასხივოსნების მუდრა.........................................16

**თავი 10.**

სიბრძნის მუდრა და სიბრძნის სარკმელი ..............................17

**თავი 11.**

სიყვარულის მუდრა ..........................................................19

**თავი 12.**

სურვილების ახდენის მუდრა..................................................20

**თავი 13.**

შინაგანი ჰარმონიის მუდრა...................................................22

**თავი 14.**

სიცოცხლის მუდრა ..............................................................23

მესამე  ნაწილი.........................................................................25

**თავი 15.**

სამკურნალო მუდრები ..........................................................25

მეოთხე ნაწილი ........................................................................63

**თავი 16.**

წონის დასაკლები მუდრები...................................................63

მეხუთე ნაწილი ........................................................................68

**თავი 17.**

მუდრები რელიგიასა და ხატწერაში

(ქრისტიანობა, ინდუიზმი, ბუდიზმი).......................................68

**თავი 18.**

იესო ქრისტეს მუდრები .........................................................69

**თავი 19.**

ბუდას მუდრები .....................................................................75

**თავი 20.**

შივას მუდრები........................................................................86

მეექვსე ნაწილი ........................................................................ 90

**თავი 21.**

საიდუმლო სკოლების და საზოგადოებების მუდრები............. 90

მეშვიდე ნაწილი........................................................................ 96

**თავი 22.**

ცეკვებში გამოყენებული მუდრები ........................................ 96

ავტორისგან: ................................................................................ 104

გამოყენებული ლიტერატურა: ............................................... 105